ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №4

22.12.2025 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

1400 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე), ბექა მენთეშაშვილი, ლეილა კოლომიკოვი, ირაკლი ბენდელიანი, გიორგი ხუროძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე, კონსტანტინე ზარნაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე **(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 10 დეკემბრის წერილი №12-032534442-03)**

   /მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 10 დეკემბრის წერილი №12-032534442-03)**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 193 388 700 (ორი მილიარდ ას ოთხმოცდაცამეტი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178 000 (ერთი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდასამი ას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823 300 (ორას ცხრამეტი მილიონ რვაას ოცდასამი ათას სამასი) ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (2 082 482 200 (ორი მილიარდ ოთხმოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 110 906 500 (ას ათი მილიონ ცხრაას ექვსი ათას ხუთასი) ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 1-ელი დეკემბერს მიღებული წერილის (№04-03/84793) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 5 138 600 (ხუთი მილიონ ას ოცდათვრამეტი ათას ექვსასი) ლარით (დამატებული ღირებულების გადასახადი), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2 767 900 (ორი მილიონ შვიდას სამოცდაშვიდი ათას ცხრაასი) ლარით (საქართველოს უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (MOH 3 25 00941831), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები იზრდება - 53 000 000 (ორ,ოცდაცამეტი მილიონი) ლარის ოდენობით.

გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება** - 696 339 700 (ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ სამას ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი;
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - 305 931 300 (სამას ხუთი მილიონ ცხრაას ოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი;
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 314 760 600 (სამას თოთხმეტი მილიონ შვიდას სამოცი ათას ექვსასი) ლარი;
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 3 079 500 (სამი მილიონ სამოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი;
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 62 491 300 (სამოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი;
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 182 384 400 (ას ოთხმოცდაორი მილიონ სამას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი;
- **განათლება** - 303 331 600 (სამას სამი მილიონ სამას ოცდათერთმეტი ათას ექვსასი) ლარი;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 50 558 800 (ორმოცდაათი მილიონ ხუთას ორმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი;
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 13 196 700 (ცამეტი მილიონ ას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასი) ლარი.
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 258 546 900 (ორას ორმოცდათვრამეტი მილიონ ხუთას ორმოცდაექვსი ათას ცხრაასი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 123 388 700 (ორი მილიარდ ას ოცდასამი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარის ოდენობით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 903 178 000 (ერთი მილიარდ ცხრაას სამი მილიონ ას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 220 210 700 (ორას ოცი მილიონ ორას ათი ათას შვიდასი) ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან (2 012 482 200 (ორი მილიარდ თორმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 110 906 500 (ას თერთმეტი მილიონ ცხრაას ექვსი ათას ხუთასი) ლარით. მათ შორის: ⎫

გადასახადები: 1 022 413 600 (ერთი მილიარდ ოცდაორი მილიონ ოთხას ცამეტი ათას ექვსასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (987 349 200 (ცხრაას ოთხმოცდაშვიდი მილიონ სამას ორმოცდაცხრა ათას ორასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 35 064 400 (ოცდათხუთმეტი მილიონ სამოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 5 138 600 (ხუთი

მილიონ ას ოცდათვრამეტი ატას ექვსასი) ლარით. მათ შორის: ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 350 000 000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (320 000 000 (სამას ოცი მილიონი) ლარი) შედარებით გაზრდილია 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია. მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი - 282 000 000 (ორას ოთხმოცდაორი მილიონ) ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 48 000 000 (ორმოცდარვა მილიონი) ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი - 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 672 413 600 (ექვსას სამოცდათორმეტი მილიონ ოთხას ცამეტი ათას ექვსასი) ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (667 349 200 (ექვსას სამოცდაშვიდი მილიონ სამას ორმოცდაცხრა ათას ორასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 5 064 400 (ხუთი მილიონ სამოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 138 600 (ხუთი მილიონ ას ოცდათვრამეტი ათას ექვსასი) ლარით მეტია.

გრანტები: 660 031 100 (ექვსას სამოცი მილიონ ოცდათერთმეტი ათას ასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (594 174 600 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი მილიონ ას სამოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 66 261 500 (სამოცდაექვსი მილიონ ორას სამოცდაერთი ათას ხუთასი) ლარით (ძირითადად კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 52 767 900 (ორმოცდათორმეტი მილიონ შვიდას სამოცდაშვიდი ცხრაასი) ლარით მეტია). მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი - 2 767 900 (ორი მილიონ შვიდას სამოცდაშვიდი ათას ცხაარსი) ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (საქართველოს უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (MOH 3 25 00941831);

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი - 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარით მეტია (მათ შორის რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია; მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა, სამგორი-ვაზისუბნის საბაგირო გზის მშენებლობა).

სხვა შემოსავლები 440 539 000 (ოთხას ორმოცი მილიონ ხუთას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (321 654 200 (სამას ოცდაერთი მილიონ ექვსას ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 118 884 800 (ას თვრამეტი მილიონ რვაას ოთხმოცდაოთი ათას რვაასი) ლარით (ძირითადად პროცენტები, სანებართვო მოსაკრებელი, სანქციები (ჯარიმები და საურავები), მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, ტრანსფერები,

რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სხვა შემოსავლები)), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია - 53 000 000 (ორმოცდაცამეტი მილიონი) ლარით. მათ შორის:

- **შემოსავალი საკუთრებიდან** - 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი;
- **ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი** - 5 000 000 ლარი;
- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარი;
- **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარი;
- **ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სხვა შემოსავლები)** - 19 000 000 (ცხრამეტი მილიონი) ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 2 193 388 700 (ორი მილიარდ ას ოთხმოცდაცამეტი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარს. მათ შორის: ხარჯების მუხლი განსაზღვრულია 1 794 337 100 (ერთი მილიარდ შვიდას ოთხმოცდათოთხმერი მილიონ სამას ოცდაჩვიდმეტი ათას ასი) ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 169 784 100 (ას სამოცდაცხრა მილიონ შვიდას ოთხმოცდაოთხი ათას ასი) ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 222 004 700 (ორას ოცდაორი მილიონ ოთხი ათას შვიდასი) ლარი, პროცენტი 43 875 300 (ორმოცდასამი მილიონ რვაას სამოცდათხუთმეტი ათას სამასი) ლარი, სუბსიდიები 924 112 000 (ცხრაას ოცდაოთხი მილიონ ას თორმეტი ათასი) ლარი, გრანტები 1 492 900 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 172 970 400 (ას სამოცდათორმეტი მილიონ ცხრაას სამოცდაათი ათას ოთხასი) ლარი, სხვა ხარჯები 260 097 700 (ორას სამოცი მილიონ ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 291 480 700 (ორას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცი ათას შვიდასი) ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 361 480 700 (სამას სამოცდაერთი მილიონ ოთხას ოთხმოცი ათას შვიდასი) ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება - 70 000 000 (სამოცდაათი მილიონი) ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარი).

2026 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (37 570 900 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათას ცხრაასი) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2026 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 37 570 900 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათას ცხრაასი) ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების ასიგნებები შეადგენს 2 193 388 700 (ორი მილიარდ ას ოთხმოცდაცამეტი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178 000 (ერთი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდასამი მილიონ ას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 210 210 700 (ორას ათი მილიონ ორას ათი ათას შვიდასი) ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან (2 082 482 200 (ორი მილიარდ ოთხმოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 110 906 500 (ას ათი მილიონ ცხრაას ექვსი ათას ხუთასი) ლარით, მათ შორის:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა** - 696 339 700 (ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ სამას ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (685 915 700 (ექვსას ოთხმოცდახუთი მილიონ ცხრაას თხუთმეტი ათას შვიდასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 10 424 000 (ათი მილიონ ოთხას ოცდაოთხი ათასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 40 000 000 (ორმოცი მილიონი) ლარით მეტია. მათ შორის გზების მშენებლობა და აღდგენა ქვეპროგრამის ასიგნებები - 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარით (რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის მიზნით), ხოლო ემატება ახალი ქვეპროგრამა - სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს გზის მშენებლობის (კოდი 01 02 06) - 10 000 000 (აღი მილიონი) ლარის ოდენობით;
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 305 931 300 (სამას ხუთი მილიონ ცხრაას ოცდათერთმეტი მილიონ სამასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (246 495 300 (ორას ორმოცდაექვსი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 59 436 000 (ორმოცდაცხრამეტი მილიონ ოთხას ოცდათექსმეტი ათასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 27 400 000 (ოცდაშვიდი მილიონ ოთხასი ათასი) ლარით მეტია. მათ შორის: სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობის (კოდი 02 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 400 000 (სამი მილიონ ოთხასი) ლარი (მუხიანი - 2 სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის მიზნით, მრავალწლიანი ხელშეკრულება), ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები 14 000 000 (თოთხმეტი მილიონი) ლარი (მათ შორის ნარიყალას რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) – 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) ლარი, ნარიყალაზე სიონის მამა დავითის გადახურვისთვის - 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი);

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 314 760 600 (სამას თოთხმეტი მილიონ შვიდას სამოცი ათასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (263 120 900 (ორას სამოცდასამი მილიონ ას ოცი ათას ცხრაასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 51 639 700 (ორმოცდათერთმეტი მილიონ შვიდას ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 22 000 000 (ოცდაორი მილიონი) ლარით მეტია. იზრდება დასუფთავების ღონისძიებების (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნებები - 22 000 000 (ოცდაორი მილიონი) ლარით (მათ შორის რუსთაველის გამზირზე ნაგავშემკრები კონტეინერების (მიწისქვეშა) შეძენა - 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, სპეცტექნიკის (15 ერთეული) შეძენა - 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარი);
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 3 079 500 (სამი მილიონ სამოცდაცხრამეტი ატას ხუთასი) ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია;
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია** - 62 491 300 (სამოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (47 491 300 (ორმოცდაშვიდი მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი) და პირველ წარდგენილ პროექტთან (38 296 300 (ოცდათვრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას სამასი) ლარი) მიმართებაში - 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ძირითადად იზრდება ლიფტების რეაბილიტაციის მიზნით ასიგნებები, მათ შორის: (მათ შორის გლდანი - 2 590 000 (ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაათი) ლარი, ნაძალადევი - 2 325 000 (ორი მილიონ სამას ოცდახუთი ათასი) ლარი, დიდუბე - 1 877 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი, ჩუღურეთი - 440 000 (ოთხას ორმოცი ათასი) ლარი, ვაკე - 1 575 000 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, საბურთალო - 2 075 000 (ორი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, ისანი - 1 182 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდაორი ათასი) ლარი, სამგორი - 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, კრწანისი - 293 000 (ორას ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარი, მთაწმინდა - 143 000 (ას ორმოცდასამი ათასი) ლარი);
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 185 152 300 (ას ოთხმოცდახუთი მილიონ ას ორმოცდათორმეტი ათას სამასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (165 575 200 (ას სამოცდახუთი მილიონ ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას ორასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 19 577 100 (ცხრამეტი მილიონ ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ათას ასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 2 767 900 (ორი მილიონ შვიდას სამოცდაშვიდი ათას ცხრაასი) ლარით მეტია. იზრდება პერსონალური ასისტენსის მომსახურებით უზრუნველყოფის (კოდი 06 02 27) ქვეპროგრამის ასიგნებები დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (საქართველოს

უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (MOH 3 25 00941831);

- **განათლება** - დაიგეგმა 303 331 600 (სამას სამი მილიონ სამას ოცდათერთმეტი ათას ექვსასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (261 539 900 (ორას სამოცდაერთი მილიონ ხუთას ოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 41 791 700 (ორმოცდაერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (300 602 400 (სამასი მილიონ ექვსას ორი ათას ოთხასი) ლარი) მიმართებაში 2 729 200 (ორი მილიონ შვიდას ოცდაცხრა ათას ორასი) ლარით მეტია. იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები 3 600 000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) ლარით (სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები (ფორსმაჟორის და ავტორიზაციის ხარჯები), თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები (კოდი 07 02 06) - ქვეპროგრამის ასიგნებები 110 000 (ას ათი ათასი) ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - ქვეპროგრამის ასიგნებები - 19 200 (ცხრამეტი ათას ორასი) ლარით, ხოლო მცირდება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 50 558 800 (ორმოცდაათი მილიონ ხუთას ორმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 294 000 (ოცდაცხრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 11 264 800 (თერთმეტი მილიონ ორას სამოცდაოთხი ათას რვაასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (50 558 800 (ორმოცდაათი მილიონ ხუთას ორმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი) მიმართებაში უცვლელია.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე იზრდება თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობის (კოდი 08 08 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 828 200 (ერთი მილიონ რვაას ოცდარვა ათას ორასი) ლარით (მრავალწლიანი ხელშეკრულების შესაბამისად ვერის ჩოგბურთის კორტების და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის მიზნით), დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის (კოდი 08 06 09) ქვეპროგრამის ასიგნების შემცირების ხარჯზე;

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 13 196 700 (ცამეტი მილიონ ას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (15 779 200 (თხუთმეტი მილიონ შვიდას სამოცდაცხრამეტი ათას ორასი) ლარი) შედარებით შემცირებულია 2 582 500 (ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაორი ათას ხუტასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (13 196 700 (ცამეტი მილიონ ას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასი) ლარი) უცვლელია;

- **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 257 676 100 ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (254 887 000 (ორას ორმოცდათოთხმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარი) შედარებით გაზრდილია 3 659 900 (სამი მილიონ ექვსას ორმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (257 537 500 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარი) მიმართებაში 1 009 400 (ერთი მილიონ ცხრა ათას ოთხასი) ლარით მეტია, რაც მიიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და რაიონის გამგეობებში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გაზრდილი ფინანსური რესურსის დასაბალანსებლად. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე იზრდება მერიის ადმინისტრაცია (კოდი 02 10 01) – 657 500 (ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარით, საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) – 145 500 (ას ორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 309 900 (სამას ცხრა ათას ცხრაასი) ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 110 400 (ას ათი ათას ოთხასი) ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 635 800 (ექვსას ოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 75 900 (სამოცდათხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 192 600 (ას ოთხმოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 380 900 (სამას ოთხმოცი ათას ცხრაასი) ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 1 802 600 (ერთი მილიონ რვაას ორი ათას ექვსასი) ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 263 900 (ორას სამოცდასამი ათას ცხრაასი) ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 254 400 (ორას ორმოცდათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 222 800 (ორას ოცდაორი ათას რვაასი) ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 210 800 (ორას ათი ათას რვაასი) ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 263 600 (ორას სამოცდასამი ათას ექვსასი) ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 242 300 (ორას ორმოცდაორი ათას სამასი) ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 239 600 (ორას ოცდაცხრამეტი ათას ექვსასი) ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 293 000 (ორას ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 215 700 (ორას თხუთმეტი ათას შვიდასი) ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 259 000 (ორას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარით, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 109 300 (ას ცხრა ათას სამასი) ლარით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 210 400 (ორას ათი ათას ოთხასი) ლარით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 259 100 (ორას ორმოცდაცხრამეტი ათას ასი) ლარით, ხოლო მცირდება მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) – 1 161 400 (ერთი

მილიონ ას სამოცდაერთი ათას ოთხასი) ლარით, თბილისის მეტროს სადგურების სესხის მომსახურება (კოდი 10 25) – 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარით, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) – 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) – 500 000 (ხუთასი ათასი) ლარით, თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) – 2 250 500 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათას ხუთასი) ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - 133 700 (ას ოცდაცამეტი ათას შვიდასი) ლარით; ასევე, პირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით, იზრდება მომუშავეთა რიცხოვნობები ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ პროგრამებში, მათ შორის: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 04) მომუშავეთა რიცხოვნობა 2 ერთეულით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 44) მომუშავეთა რიცხოვნობა 3 ერთეულით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) მომუშავეთა რიცხოვნობა - 9 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში იზრდება 15 ერთეულით და განისაზღვრა 4951 ერთეულით. აღსანიშნავია, რომ 2026 წლისათვის იგეგმება გარდამავალი თავისუფალი ნაშთის გამოყენება სხვადასხვა მიმართულებებზე.

მომხსენებლის, გაიოზ თალაკვაძის მიერ წარდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

სხდომის მონაწილეებმა **შეკითხვები დასვეს შემდეგ საკითხებზე:** რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა, ავარიული კორპუსების ჩანაცვლება და ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტული ასიგნებები.

მომხსენებელმა დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 10 დეკემბრის **№12-032534442-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 10 დეკემბრის **№12-032534442-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კონსტანტინე ზარნაძე